

პროექტის "ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემოს სტატუსისთვის BSB257" ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი ელექტრონული ბიულეტენი #22

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

ეს პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზის 2014-2020" ფარგლებში

პროფ. დოქტორი ტესერი აღნიშნავს, რომ COVID-19 პანდემიის ღონისძიებები ეხმარება შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვას



ტევირდაგის ნამიკ ქემალის უნივერსიტეტის (TNKU), ჩორლუს საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი პროფ. დოქ. ტესერმა და სტუდენტებმა განახორციელეს სანაპიროს დასუფთავების აქცია პროექტის „ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემოსდაცვის სტატუსისთვის (ZEWSGES)“, ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით შავი ზღვის 2014-2021ერთობლივი ოპერაციული პროგრამის ფარგლებში.

პროფ. ტესერმა გაავრცელა პრესრელიზი განხორციელებული საქმიანობების შესახებ. მან განაცხადა, რომ პროექტის წამყვანი პარტნიორი ტევირდაგის ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი (თურქეთი) და

- ნესებარის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საბჭო - ბულგარეთი
- უკრაინის საზღვაო გარემოსდაცვითი ასოციაცია უკრმეპა - უკრაინა
- საერთაშორისო ასოციაცია კვიტას გეორგიკა - საქართველო

პროექტის "ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემოს სტატუსისთვის BSB257" ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი ელექტრონული ბიულეტენი #22

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

ეს პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზის 2014-2020" ფარგლებში



პროფ. ტესერმა, რომელიც არის ZEWSGES პროექტის საზღვაო გარემოსდაცვითი კოორდინატორი, აღნიშნა, რომ პროექტის მოსალოდნელი შედეგები ითვალისწინებს:

- წვლილი შეიტანოს საზღვაო ნარჩენების მართვის საკანონმდებლო დახვეწაში და თანხვედრაში ევროკავშირის მოთხოვნებთან;
- შეამციროს პლასტის და სანაპირო ზოლის დაბინძურება;
- გააუმჯობესოს მოსახლეობის და ტურისტების შეგნება საზღვაო ნარჩენების მიმართ,
- საზღვაო ნარჩენების მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება;
- ნარჩენების წარმოქმნის წყაროების დადგენა;
- წლიური და სეზონური ფაქტორების გავლენის განსაზღვრა
- ეკოსისტემის დაცვის გაუმჯობესება უკეთესი გარემოსდაცვითი სტატუსისთვის

აღნიშნა რა, რომ ზღვის დაბინძურებამ არ იცის საზღვრები, **პროფ. ტესერმა**, დაამატა "ყოველწლიურად 6.4 მილიონი ტონა ნაგავი ხვდება მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეში, დაახლოებით 18,000 პლასტიკის ნაგავი ტივტივებს კვ.კილომეტრზე ზღვაში და ერთობლივი ძალისხმევა აუცილებელი ამის შესამცირებლად"

პროფ. ტესერი: "ბოლო პერიოდში განხორციელდა ნარჩენების მონიტორინგის და დასუფთავების 5 კამპანია. დღეს ტარდება მეექვსე. მისი მიზანია მოსახლეობას და ტურისტებს უკეთ ესმოდათ დაბინძურების შემცირების მნიშვნელობა. ჩვენ ასევე ეკოსაგანმანათლებლო პროგრამას ვახორციელებთ 7-16 წლის ბავშვებისთვის" მან ხაზი გაუსვა, რომ მეექვსე დასუფთავების და მონიტორინგის კამპანიამ აჩვენა, რომ COVID-19 პანდემიის ღონისძიებები ხელს უწყობს დაბინძურების შემცირებას.

მან აღნიშნა, რომ ნარჩენების რაოდენობა, რაც შეგროვდა კამპანიის პერიოდში ნაკლებია ვიდრე წინა 5 აქციის განმავლობაში.



პროექტის "ნულოვანი ნარჩენების სტრატეგია კარგი გარემოს სტატუსისთვის BSB257" ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენი ელექტრონული ბიულეტენი #22

საერთო საზღვრები. საერთო გადაწყვეტილებები

ეს პროექტი დაფინანსებულია ერთობლივი საოპერაციო პროგრამის "შავი ზღვის აუზის 2014-2020" ფარგლებში

პროფ. ტესერმა განაცხადა, რომ COVID-19 წინააღმდეგმა ღონისძიებებმა, ასევე იმოქმედა სხვა სფეროებზეც, შესაბამისად, კიაიკოუს პლაჟი, როგორც ტურისტული ზონა, ნაკლებად დაბინძურდა და დასტურდება მოგროვებული ნაგვის რაოდენობით და მისი შემადგენლობით. მან დაამატა "COVID-19 ხელს უწყობს რომ ჩვენი პლაჟები და ზღვა უფრო სუფთა იყოს".

პროფ. ტესერი: "ზღვის დაბინძურება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ტურიზმის სექტორზე, არამედ საზღვაო ფლორასა და ფაუნაზე, შესაბამისად თევზჭერაზე. მე მოხარული ვარ რომ მოხალისეებთან ერთად ეს ღონისძიება განვახორციელებთ და ხელს ვუწყობთ ჩვენი სანაპიროების სისუფთავეს. იმედი მაქვს ჩვენი საქმიანობა ხელს შეუწყობს მოსახლეობის თვითშეგნების ამაღლებას, გამნსაკუთრებით, ტურისტულად აქტიურ ადგილებში, შინარჩუნოს სიუფთავე და დავიცვათ ჩვენი პლაჟები და ზღვა დანაგვიანებისგან" დამატებითი იხილეთ:

<https://www.hurriyet.com.tr/seyahat/ordudaki-boztepede-yamac-parasutu-ucuslari-yeniden-basladi-41560325>
<https://www.mynet.com/kirklareli-kiyikoy-sahilinde-kiriligini-azaldigi-belirlendi-tekirdag-6537280-myvideo>

https://flipboard.com/@flipboardtr/seyahat-se%C3%A7kileri-10fcolsmz/k-rklareli-k-y-k-y-sahilinde-kirili-in-azald-belirlendi/a-Kf3LofP_T2awUqnunBx6VA%3Aa%3A200826397-dd7c2ab374%2Fcom.tr

https://www.facebook.com/permalink.php?id=143769666487433&story_fbid=636656777198717
<https://www.sondakika-haberleri.net/haber/-Sahilinde/>
<http://www.devrimgazetesi.com.tr/corlu-dan-kiyikoy-e-temizlik/>



მასალის რედაქტირება: ნამიკ ქემალის უნივერსიტეტი
 გამოქვეყნების თარიღი: 30 ივნისი 2020 წ.

ერთობლივი ოპერაციული პროგრამა შავი ზღვის აუზი 2014-2020 თანადაფინანსებულია ევროკავშირის მიერ ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტის ფარგლებში და ასევე მისი მონაწილე ქვეყნების მიერ: სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, თურქეთი და უკრაინა. ეს პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოთქმული შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ნამიკ ქემალის უნივერსიტეტის პასუხისმგებლობას და არ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.

